შპს „საქაერონავიგაცია“
„SAKAERONAVIGATSIA“ Ltd

№8/1373 „29“ 09 2023

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს, ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

2023-2024 წლებში ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილია ახალი სამიმოსვლო ბილიკ E-ზე ხელოვნური საფარის შეცვლა და ასაფრენ-დასაფრენ ზოლთან მიერთების ადგილზე მოსაბრუნებელი მოედნის მოწყობა. რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს შუქ-ტექნიკური სანათების ახალი სქემით განლაგებას. შესაბამისად, შპს „საქაერონავიგაციის“ წინაშე დღის წესრიგში დადგა აღნიშნული სამიმოვლო ბილიკის შუქ-ტექნიკური სისტემით აღჭურვა და პროექტირების შესყიდვის საკითხი, რისთვისაც აუცილებელია მომზადდეს შესაბამისი პროექტი, რაც მოიაზრებს არსებული პროექტის გაფართოებას/მოდიფიკაციას.

ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შუქ-ტექნიკის სისტემის პროექტი, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ 2015 წელს შესყიდული იქნა ფრანგულ კომპანია - „ADPI-სგან (#მომს/04/07/15, 02.07.2015, ხელშეკრულების ფასია - 48 204 ევრო) და წარმოადგენს მის ინტელექტუალურ პროდუქტს და ინტელექტუალურ საკუთრებას. აღნიშნული მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში (მუხლი 6, პ.6.2). 2018 წელს „ADPI-სგან ასევე შესყიდული იქნა ზემოაღნიშნული პროექტის გაფართოება/მოდერნიზების პროექტირების მომსახურება (ასარენ-დასაფრენის ზოლის 13R კურსით მიახლოების შუქ-სასიგნალო სისტემის გაფართოების მიზნით, ხელშეკრულება N MOMS/ 11/03/18, 22.03.2018,CMR180077811), აგრეთვე 2020 წელს იგივე კომპანიისგან შესყიდულ იქნა ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სამიმოსვლო ბილიკის შუქ-ტექნიკური სისტემის პროექტის გაფართოება/მოდიფიკაციის მომსახურება (N MOMS/ 01/11/20, 13.11.20) ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის არსებული შუქ-სასიგნალო სისტემის გაფართოების/მოდერნიზების საპროექტო მომსახურება (არსებულ პროექტში ცვლილებების და დამატებების შეტანა, რომლის ღირებულება შეადგენს 52350 აშშ დოლარს) შეძენილი იქნეს ფრანგულ კომპანია - „ADPI“-სგან, ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეითანხმოთ შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შუქ-სასიგნალო სისტემის პროექტის გაფართოების მომსახურების შესყიდვა (ღირებულებით 52350 აშშ დოლარი) ფრანგულ კომპანია - „ADPI-სგან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

პატივისცემით,

ლევან გეგეშიძე Levan Gegeshidze

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

Airport Tbilisi
0190 Georgia

Tel.: (995 32) 2 744 212
(995 32) 2 744 306
(995 32) 2 744 227
AFTN: UGGGGNXX

http://www.airnav.ge
E-mail: office@airnav.ge